

4. მეთოდოლოგიური საფუძველი

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველად გვევლინება მისი აგება კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებზე, კერძოდ კი ორიენტაცია უშუალოდ ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებითი კვლევისას გამოვლენილ ენობრივი ინტერფერენციისა და ტრანსფერენციის მოვლენებზე (ბუნებრივია, მულტიკულტურული რეგიონისთვის დამახასიათებელი ბილინგვალიზმის, ხშირად პლურილინგვალიზმის გათვალისწინებით), თუმცა გარკვეულ მოსაზრებათა გამო შეგნებულად ვარიდებთ თავს ენობრივ მოვლენათა პარალელურ აღწერას:

- მუდმივ შედარებებს, რომლებიც მკითხველისგან ორი ენის სისტემაში ერთდროულ აზროვნებას ითხოვს და მდიდარ მასალას იძლევა ენათა თეორიულ ასპექტში კვლევისას, შეეძლო ენის პრაქტიკულად შემსწავლელის ყურადღება მოედუნებინა და მისთვის მახსოვრობის ძაფი გაეწყვიტა.
- ენათმეცნიერულ დისციპლინებში გაუცნობიერებელი მკითხველი უფრო მეტად დაებნია თეორიული ცოდნის მიწოდებას იმ ენობრივ ფორმათა შესახებ, რომელთაც იგი მშობლიურ ენაზე მეტყველებისას ისედაც სწორად იყენებს საკუთარი ენობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე (მაგ., ახსნა იმისა, თუ რატომ დგას ზმნა ამა და ამ სერიისა და მწკრივის ფორმაში / რატომ ეწყობა შემასმენელს ქვემდებარე ერთ შემთხვევაში სახელობითი, მეორეში – მოთხრობითი, მესამეში – მიცემითი ბრუნვის ფორმით / როგორ გადმოიცემა ქართულში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა / რატომ არის, რომ პასივი ქართულში შედარებით ნაკლებად გამოიყენება და ა.შ.).
- ცნობილი ფაქტია, რომ შემსწავლელი, სრულიად გაუცნობიერებლად, არცთუ იშვიათად ამოდის არა მაინცდამაინც მშობლიური ენის, არამედ შუალედური უცხოური ენის – ჩვენს შემთხვევაში რუსულის ან ინგლისურის, ფრანგულის, იტალიურის – ენობრივი სისტემიდან, ე.ი. მეორე უცხოურ ენას იგი მისდა უნებურად პირველის ფილტრში ატარებს, რაც, თავისთავად, შეიძლება იქცეს ზოგ შემთხვევაში შეცდომის ავტომატური დაძლევის საშუალებად (მაგ.: მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა გენტივის განსაზღვრების შემცველ კონსტრუქციაში; წინდებულების პოსტპოზიციური ხმარება და ა.შ.), ზოგჯერ კი პირიქით, შეცდომის დაშვების ახალ წყაროდ (მაგალითად: სქესის კატეგორიის არარსებობა ზმნის სისტემაში; კოპულის ფუნქციით გამოყენებული sein-ის გამოტოვების დაუშვებლობა; ზედსართავი სახელის ე.წ. მოკლე ფორმით ხმარების აუცილებლობა შედგენილ სახელად შემასმენელში განურჩევლად მაერთის გრამატიკული რიცხვისა და ა.შ.).

შემსწავლელისთვის ყველაფერი ამის გაცნობიერება მიზნისკენ მიმავალი გზის ხელოვნურ გამრუდებად გვეჩვენა, შესაძლო უარყოფით შედეგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მსგავს მოსაზრებათა გამო, ნაცვლად ენათა შეპირისპირებითი ანალიზისა, შევეცადეთ, შესასწავლი ენის სისტემური თავისებურებების აღწერისას გაგვეთვალისწინებინა, ერთი მხრივ, შემსწავლელი კოლექტივის მშობლიური ენის სისტემა, მეორე მხრივ კი, შემსწავლელთა მიერ სკოლაში ენების (ქართულის / რუსულის / ინგლისურის / ესპანურის / ფრანგულის) შესწავლისას დაგროვებული პრაქტიკული ენათმეცნიერული გამოცდილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უცხოური ენა აღგვეწერა იმ სირთულეთა თუ შეკითხვათა გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლებოდა ქართული ენის მატარებელს გასჩენოდა გერმანულის შესწავლის პროცესში. აქედან გამომდინარე, რიგ შემ-

თხვევებში აუცილებლად ჩავთვალეთ ქართული ეკვივალენტებისა თუ შესატყვის გრა-
მატიკულ ფორმათა დასახელება; სხვა შემთხვევაში ნიმუშთა ქართულ თარგმანს
დავჯერდით; ზოგან კი უბრალოდ შევეცადეთ, მასალის მიწოდების ისეთი ხელსაყრელი
ფორმისთვის მიგვეგნო, რომელიც წინასწარ გაითვალისწინებდა მოსალოდნელი
შეცდომის მექანიზმს და მისი დაძლევის გზებს.